„რადიო–სტუდია სპუტნიკი საქართველო“–ს გადაცემები წარმოადგენს საქართველოში
წარმოებულ აუდიო პროდუქტს, რომელსაც თბილისში ამზადებს საქართველოში
დარეგისტრირებული კერძო კომპანია – შპს "საერთაშორისო ინფორმაციის სააგენტო
ნიუსჯორჯია" და მათ მიერ მოწვეული შემოქმედებითი კოლექტივი.

ჩვენთვის სრულიად გაუგებარია „რადიო–სტუდია სპუტნიკი საქართველო“–ს ბრენდ–
ნეიმით წარმოებული პროდუქტის ზოგიერთი შექმნელების საჯარო განცხადებები,
რომელიც გაჟღერდა ქართულ და რუსულ მედიაში. აღნიშვნული განცხადებები არ იყო
ჩვენთან შეთანხმებული და შესაბამისად ჩვენთვის სრულიად მოულოდნელი და
შემაშფოთებელი გახდა. აღსანიშნავია, რომ პირველად სკანდალური ინფორმაცია
სწორედ რუსული მედიის მიერ გავრცელდა.

აღნიშნული ინფორმაცია გავრცელდა 10. 11. 2014 წელს, ხოლო ჩვენს ეთერში „რადიო–
სტუდია სპუტნიკი საქართველო“–ს ბრენდ ნეიმით პირველი გადაცემა 04. 11. 2014 წელს
გავიდა. გარდა ამისა, აღნიშნული ინფორმაციის გავრცელება უცნაურად დაემთხვა
რუსეთში ახალი მედია–პროექტის პრეზენტაციას. ყველაფერი ეს ეჭვს ბადებს, რომ
ადგილი აქვს ან მიზანმიმართულ პროვოკაციას ან რაიმე სხვა მიზნით არასწორი
ინფორმაციის გავრცელებასა და მის ინტერპრეტირებას.

ვითვალისწინებთ რა შემდეგ ფაქტს, რომ ჩვენ დღემდე ვერ მივიღეთ შპს
"საერთაშორისო ინფორმაციის სააგენტო ნიუსჯორჯია"–საგან ამომწურავი და
ადეკვატური პასუხი განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით, ჩვენ იძულებულნი
ვართ მივიღოთ შესაბამისი გადაწვეტილება და ცალმხრივად შეწყვიტოთ მათთან
თანამშრობლობა.

პატივისცემით და საუკეთესო სურილებით,

ქეთევან კერესელიძე
შპს „რ–რადიო“–ს დირექტორი

საქართველო, ქ. თბილისი, აგლაძის ქ. 39